რელიგიურობა და სქესი, როგორც ჰომოსექსუალების მიმართ წინარწმენის პრედიქტორები

თამარ ღამბაშიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ვარდანაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ღამბაშიძე

15 ივნისი, 2023 წელი.

აბსტრაქტი

წლების განმავლობაში, მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, არაერთი კვლევა ჩატარდა იმის დასადგენად, თუ რა კავშირი არსებობს რელიგიურობასა და წინარწმენას შორის. მათი უმრავლესობა ამ ორი ცვლადის აშკარა ურთიერთკავშირზე მიუთითებს. აღნიშნულ კვლევაში, რელიგიურობასთან ერთად, ჰომოსექსუალების მიმართ წინარწმენის ერთ-ერთ პრედიქტორად წარმოდგენილია სქესი. რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით, წინამდებარე კვლევა, მიზნად ისახავდა დაედგინა წინასწარმეტყველებს თუ არა პიროვნების რელიგიურობის განსხვავებული განზომილებები და სქესი ჰომოსექსუალების მიმართ წინარწმენას. მონაცემების შეგროვებისთვის, გამოყენებულ იქნა ხელმისაწვდომი შერჩევა. 150 შეგროვებული მონაცემიდან გამოვლინდა არაერთგვაროვანი კორელაცია რელიგიურობის სხვადასხვა განზომილებებსა და ჰომოსექსუალების მიმართ წინარწმენას შორის. კერძოდ, რელიგიური პარტიკულარიზმი, რელიგიურობის შედეგები და რწმენის განზომილება დადებითად კორელირებდა ზემოაღნიშნულ წინარწმენასთან, რელიგიური პრაქტიკა კი - უარყოფითად. რაც შეეხება რელიგიურობის გამოცდილებას, აქ განსხვავებული შედეგები გამოვლინდა. ეს უკანასკნელი ჰომოსექსულების მიმართ წინარწმენას მნიშვნელოვნად არ დაუკავშირდა. რეგრესიული ანალიზის შედეგად *ჰიპოთეზა 1* ნაწილობრივ გამართლდა, ხოლო *ჰიპოთეზა 2* - სრულად დადასტურდა. დადგინდა, რომ ქართულ საზოგადოებაში, რელიგიურობის შედეგები და სქესი, ჰომოსექსუალების მიმართ წინარწმენის პრედიქტორებია. კვლევის თანახმად, ჰომოსექსუალების მიმართ წინარწმენისკენ მიდრეკილება უფრო მეტად მამაკაცებს ახასიათებთ, ვიდრე - ქალებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: წინარწმენა, სქესი, რელიგიურობა, რელიგიურობის სხვადასხვა განზომილება, ჰომოსექსუალები.

Abstract

Over the years, a number of studies have been conducted around the world, including in Georgia, to determine the relationship between religiosity and prejudice. Most of them indicate a clear relationship between these two variables. In this study, along with religiosity, gender is presented as one of the predictors of prejudice against homosexuals. Using a quantitative method, the present study aimed to determine whether different dimensions of a person's religiosity and gender predict prejudice against homosexuals. Available sampling was used for data collection. From the 150 collected data, mixed correlations between different dimensions of religiosity and prejudice against homosexuals were revealed. In particular, religious particularism, consequences of religiosity, and expression of faith were positively correlated with the above-mentioned preconceptions, while religious practice was negatively correlated. As for the experience of religiosity, different results were revealed here. The latter was not significantly related to prejudice against homosexuals. As a result of regression analysis, *hypothesis 1* was partially justified, and *hypothesis 2* was fully confirmed. It was determined that in Georgian society, the results of religiosity and gender are predictors of prejudice against homosexuals. According to research, men are more likely to be prejudiced against homosexuals than women.

Keywords: Prejudice, sex, religiosity, different dimensions of religiosity, Homosexuals.